ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7226283

ნომერი: AR11057658

თარიღი : 16.09.2024

გაცემის თარიღი : 23.09.2024

გაცნობის თარიღი : 24.09.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთა, (ნაკვ. 28/1);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სოფიკო მახარაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არკო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405038739

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „ელტური-2008”
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: ს/კ 248434038
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯუმბერ ზოიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61005000380

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4809900 6336429
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.12.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 13-01233463868 წერილის მიხედვით ფიქსირდება განაცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობები. ასევე სამსახურში AR11002232 განაცხადით განიხილებოდა კორექტირებული პროექტის შეთანხმების საკითხი, რომელიც განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე და ეთქვა უარი, რეკომენდაციით: განხორციელდეს შეთანხმებული პროექტის მიხედვით. გარდა ამისა მოცემულ განაცხადზე წარმოდგენილი იყო ინსპექციის 2024 წლის 11 იანვრის N002144 დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამუშაოები ნაწარმოები იყო შეთანხმებული პროექტისგან გადაცდომებით. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განახლებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პოზიცია და განახლებული ფოტოსურათები შენობის ყველა ფასადის/ნაწილის ასახვით.
2. საჭიროა წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ განმცხადებელზე გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 60 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.